აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკადემიური საბჭო

10 ნოემბერი, 2017

დადგენილება № 8(17/18)
აკაკი წრეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის წესის დამტკიცების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის წესდების 53 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი სტუდენტის მიერ დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის უფლების წესი დამტკიცდეს თანდართული ფორმით.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე, რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1.1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს აკაკი წრეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტთათვის დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის პროცედურულ საკითხებს.
1.2. უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი და აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის წესდების 53 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით სტუდენტის აქვს დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევის უფლება.

მუხლი 2. დამატებითი (minor) პროგრამებზე სტუდენტთა განაწილების, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევა

2.1. უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტის მიერ დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის არჩევა ხდება საკუთარი სურვილის გამოხატვის თავისუფლების, გამჭვირვალობისა და კონკურენციის პრინციპების დაცვით უნივერსიტეტის ელექტრონული დეკანატის საიტზე.
2.2. შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმებით, პროგრამის აკადემიურმა პერსონალი დაინტერესებულ სტუდენტებს აწოდოებსს ინფორმაციას დამატებითი (minor) პროგრამის, მოდულის და არჩევითი საგნის შესახებ.
2.3. უნივერსიტეტში ჩარიცხული სტუდენტების განაწილება დამატებით (minor) პროგრამებზე, მოდულებზე და არჩევით საგნებზე განხორციელდეს:
ა) ყოველი მომდევნო სასწავლო წლისათვის - მიმდინარე სასწავლო წლის 25 აპრილიდან 15 მაისის ჩათვლით;
ბ) ზამთრისა და ზაფხულის მობილობით გადმოსული სტუდენტებისთვის - უნივერსიტეტში ჩარიცხვის ბრძანების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში;
გ) დამატებითი (minor) პროგრამის შეცვლა განხორციელდეს სტუდენტთა მობილობის პერიოდში.
დ) განსაკუთრებულ შემთხვევაში სტუდენტის რეგისტრაციის საკითხი ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით განხილული იქნას უნივერსიტეტის რექტორთან.
2.4. დამატებით (minor) პროგრამებზე სტუდენტთა მისაღებ კონტინგენტს (ფაკულტეტის საბჭოსთან შეთანხმებით) ყოველი მომდევნო სასწავლო წლისათვის - მიმდინარე სასწავლო წლის 20 აპრილის ჩათვლით წარმოადგენს ფაკულტეტის დეკანი, ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი. ინფორმაცია მიეწოდება აწსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, რომელიც რექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულ სტუდენტთა მისაღებ კონტინგენტს დასარეგისტრირებლად გადასცემს ელექტრონული დეკანატის ადმინისტრატორს.
2.5. ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები, დეპარტამენტის ხელმძღვანელები, ფაკულტეტის დეკანები, კონკურსის ჩატარებამდე ორი კვირით ადრე უნივერსიტეტის რექტორატში წარმოადგენენ იმ დამატებითი (minor) პროგრამის სასწავლო კურსების ნუსხა, რომლის არჩევის უფლება აქვთ შესაბამისი პროგრამის სტუდენტებს.

მუხლი 3. სტუდენტთა რეგისტრაცია და ჩარიცხვა

3.1 დამატებითი (minor) პროგრამებზე, მოდულებზე და არჩევით საგნებზე სტუდენტთა რეგისტრაცია მიმდინარეობს ელექტრონულ (on-line) რეჟიმში, ამ წესის მე-2 მუხლით დადგენილ ვადებში.

3.2. რეგისტრაციის გავლის უფლება აქვს აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტს, რომელიც დამატებით (minor) პროგრამასთან დაკავშირებულ არჩევას აკეთებს პირველად;

3.3. რეგისტრაციის დროს, სტუდენტის რამოდენიმეჯერ დარეგისტრირების შემთხვევაში, დარეგისტრირებულად ჩაითვალოს მის მიერ გაკეთებული ბოლო განაცხადი;

გ) სტუდენტებს დამატებით (minor) პროგრამის არჩევის დროს მიეცეს უფლება შეცვალონ განაცხადი რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე.

3.4. სტუდენტს დამატებითი (minor) პროგრამის შეცვლის უფლება მიენიჭოს ამ წესის მეორე მუხლის 2. 3. გ. პუნქტით განსაზღვრულ პერიოდში. სტუდენტი ვალდებულია საკუთარი სურვილი დააფიქსიროს განცხადებით. ამ შემთხვევაში, საფაკულტეტო ადმინისტრაცია სტუდენტთა განაწილებას დამატებით (minor) პროგრამებზე ახდენს შიდა მობილობის დროს, ძირითად პროგრამებზე სტუდენტთა განაწილებისათვის დადგენილი წესების მიხედვით.

3.5. სტუდენტს აქვს უფლება გააკეთოს განაცხადი 5 დამატებით (minor) პროგრამაზე (მ.შ. სამი პროგრამის არჩევანის გაკეთება სავალდებულოა) და დაალაგოს ისინი საკუთარ განაცხადში პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

3.6. სტუდენტის ჩარიცხვა დამატებით (minor) პროგრამაზე ხდება მისი სურვილისა და მიმდინარე აკადემიური მოსწრების საფუძველზე რექტორის ბრძანებით დამტკიცებული მისაღები კონტიგენტის გათვალისწინებით, რანჟირებული სიის შესაბამისად, რომელშიც ჩარიცხვის მსურველი სტუდენტები დალაგებული იქნება საგანმანათლებლო პროგრამის პირველ სასწავლო სემესტრში სტუდენტის მიერ ათვისებული <u>კრედიტების შესაბამის შეფასებებზე ნამრავლთა ჯამით</u> განაცხადის პრიორიტეტულობის მიუხედავად, რამდენიმე დამატებით (minor) პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში გათვალისწინებული იქნეს სტუდენტის მიერ არჩეული პრიორიტეტები. საჭიროების შემთხვევაში გათვალისწინებულ იქნას ეროვნული გამოცდებზე მიღებული ქულები.

3.7. სტუდენტთა ელექტრონული რეგისტრაციის შედეგების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, აწსუ სასწავლო პროცესის მართვის სამსახური და ელექტრონული დეკანატის ადმინისტრატორი უზრუნველყოფს კონკურსის ჩატარებას ამ წესის მე-3 მუხლის მოთხოვნებისა და ცალკეულ პროგრამაზე არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი და ელექტრონული დეკანატის ადმინისტრატორი კონკურსის დასრულებისთანავე შემოდის რექტორატში შესაბამისი ბრძანების პროექტით.

3.8. დამატებით (minor) პროგრამებზე, მოდულებზე, თავისუფალ კრედიტებსა და/ან არჩევით საგნებზე სტუდენტთა განაწილების დროს გათვალისწინებულ იქნეს აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი აკადემიური ჯგუფის ფორმირების ნორმები და ნორმატივები.

3.9. სტუდენტთა საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის ბრძანების გამოსვლიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა, დასაშვებია ამ ბრძანებაში ცვლილებების შეტანა სტუდენტის მხრიდან თავისი განაცხადის გადაფასების შემთხვევაში, თუკი ეს არ გამოიწვევს წინამდებარე წესის მე-3 მუხლით გათვალისწინებული ნორმების უხეშ დარღვევას.

4.0. ამ წესის მე-3 მუხლის 3.9 პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ სტუდენტის მიერ გაკეთებული არჩევანი შეცვლას აღარ ექვემდებარება, გარდა საქართველოს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.